ქ . თბილისში უზნაძის ქ. №82-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ისტორიულ – სახელოვნებათმცოდნეო კვლევა.

2016 წელი

ჩვენი საკვლკევი ობიექტი მდებარეობს ქ. თბილისში უზნაძის ქუჩა №82-ში და მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი.



- 2006 წლის აეროფოტო რომელზეც ასახულია საკვლევი შენობის მიმდებარე ტერიტორია

ახლანდელი დავით აღმაშენებლის პროსპექტისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული თბილისის გერმანული კოლონიის ისტორიასთან. კოლონისტებმა დიდი წვლილი შეიტანეს მტკვრის მარცხენა სანაპიროს ცენტრალური უბნების ფორმირებაში და არსებითად საფუძველი ჩაუყარეს მის გეგმარებით სტრუქტურას.

XIX საუკუნეში მტკვრის მარცხენა ნაპირზე, დღევანდელი აღმაშენებლის გამზირის ადგილას ქალაქური დასახლება არ არსებობდა და გაშენებული იყო სადედოფლო ბაღები. თბილისის ისტორიულ გეგმებზე 1850 წ-დე აქ მხოლოდ ქაოტური დასახლებაა გამოსახული. თბილისის

1867 წ-ის გეგმაზე კი მტკვრის მარცხენა ნაპირზე უკვე ჩანს პარალელური და მათი პერპენდიკულარულად გადამკვეთი ქუჩების რეგულარული განაშენიანების ჩანასახი, რომელიც აქ არსებულ ბაღებზეა დაპროექტებული.




- 1867 წლის თბილისის რუქა

ე. წ. თბილისის კოლონია, რომელსაც თბილისელები „ნემცების სოფელს“ ეძახდნენ , 1818 წელს დაარსდა, როცა აქ ვიურტემბერგიდან გადმოსული 51 ოჯახი დასახლდა. ქალაქთან სიახლოვემ თავიდანვე განსაზღვრა თბილისის კოლონიის სპეციფიკა – აქ მხოლოდ ხელოსნები დაასახლეს. გარდა ხელოსნობისა, გერმანელები სოფლის მეურნეობასაც ეწეოდნენ. აღებულ მიწებზე მათ ბაღები და ბოსტნები გააშენეს.

გარკვეულწილად მათ განაპირობეს განაშენიანების რეგულარული ხასიათი. მათ გაიყვანეს მტკვრის ზემო დინებიდან სარწყავი არხი და რწყავდნენ სახლების უკან მდებარე ბაღ-ბოსტნებს. აშენდა გერმანული ეკლესიაც _ კირხა და დიდი ხნის მანძილზე ამ ადგილს „კიროჩნი“ ეწოდებოდა. ამ უბნის ინტენსიური განაშენიანება დაიწყო XIX საუკუნის II ნახევარში, როდესაც უბნის ცენტრალურ მაგისტრალად მიჩნეულ მიხეილის ყოფილი პროსპექტიდან (დღევანდელი დავით აღმაშენებლის, შემდეგ პლეხანოვის), დაიკვალა პარალელური ქუჩები. უბნის

განაშენიანება განსაკუთრებით დაჩქარდა XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან, კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებასთან ერთად. ამ ვითარებას ხელი შეუწყო აგრეთვე მიხეილის და ვერის ხიდების აგებამაც, რის შემდეგაც ეს უბანი უშუალოდ დაუკავშირდა თბილისის ცენტრს. განაშენიანება პრაქტიკულად დასრულდა XX საუკუნის დასაწყისში. აქ არსებობდა ორ-სამსართულიანი განაშენიანება, რომელიც გარს შემოუყვებოდა კვარტალების შუაში მდებარე ბაღებსა და გამწვანებულ ტერიტორიას



თბილისის კოლონია შედგებოდა მთავარი გზის ორთავე მხარეს განლაგებული მართკუთხა ნაკვეთებისაგან. ტოვარნიცკის მიერ შედგენილ 1833 წლის გეგმაზე უკვე ჩანს განაშენიანება ამ გზის გასწვრივ. შემდგომში მთავარი გზა მარცხენა ნაპირის მთავარ ქუჩად იქცა და მას დიდი მთავრის მიხეილის სახელი (Михайловская улица) ეწოდა. ეს

არის ახლანდელი დავით აღმაშენებლის პროსპექტი. თანდათან მისი პარალელური ქუჩებიც გაშენდა.

1862 წელს გერმანული კოლონია ოფიციალურად შეუერთდა ქალაქს. 1870-1880-იანი წლებიდან კუკია და ყოფილი გერმანული კოლონია აქტიურად ებმება თბილისის ერთიან ურბანულ სტრუქტურაში. 1883 წელს აშენდა ვერის ხიდი, რომელმაც დააკავშირა მტკვრის ორი ნაპირის ძირითადი მაგისტრალები – გოლოვინის და მიხეილის პროსპექტები. უბნის ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო რკინიგზის გაყვანა და რკინიგზის სადგურის აშენება.

მიხეილის პროსპექტი ყველაზე გრძელი ქუჩა იყო თბილისში _ გადაჭიმული მუშტაიდის ბაღიდან ვორონცოვის ძეგლამდე. ორ-სამსართულიანი მდიდრული სახლებითა და საზოგადოებრივი ნაგებობებით გაშენებული პროსპექტის თავისებურებას შეადგენდა უხვი გამწვანება. წესდება ავალდებულებდა გერმანელ კოლონისტებს დაერგოთ ხეები ქუჩების გასწვრივ და სახლების გარშემო. მათ ჰქონდათ ასევე ხეხილის დიდი ბაღები. თბილისის 1913 წლის გეგმაზეც კი ეს უბანი თბილისის სხვა უბნებთან შედარებით ბევრად უკეთ არის გამწვანებული. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ბაღების დიდი ნაწილი განადგურდა და დღემდე მათგან მხოლოდ მცირე ნაწილი შემორჩა.



1910 წლის საარქივო ფოტო

დროთა განმავლობაში მიხეილის პროსპექტის ბაღები თბილისელთა გართობისა და დასვენების საყვარელ ადგილებად იქცა. მათ შორის უძველესი იყო „მუშტაიდი“, რომელიც 1830 წლის ახლო ხანებში გააშენა თავრიზის მოჯთაჰედმა აღა მირ-ფეთამ. სხვა გასართობი ბაღებიდან აღსანიშნავია ერთმანეთის მოპირდაპირე მხარეს მდებარე „სან-სუსი“ და „მონპლეზირი“, რომლებიც დიდად პოპულარული იყო უკვე 1860-იან წლებში. 1870-1880-იან წლებში მათ დაემატა „ევროპა“ (მიხეილის პრ., #143), „ვაზა“ (მიხეილის პრ., #192), “შვეიცარია“, `Васильевский сад” (1889 წლიდან „გერმანია“), „გამბრინუსი“ . 1900-იან წლებში პოპულარული გახდა გასართობი ბაღები „პალერმო“ (იუნკერთა სასწავლებლის პირდაპირ), „რენესანსი“ (მიხეილის პრ., #144) .

ზაფხულობით მიხეილის პროსპექტზე იდებდა ბინას თბილისის რამდენიმე კლუბი. აქ გადმოდიოდა თბილისის საკრებულო (Тифлисское собрание) და ტურისტთა კლუბი. მუდმივად აქ იყო განთავსებული გერმანული და რუსული კლუბები. მიხეილის პროსპექტზე მდებარეობდა კინოთეატრების უმეტესობა – „მოდერნი“, „ლირა“, „ოდეონი“, „აპოლო“, „მულენ-ელეკტრიკი“ და „სატურნი“.

XIX საუკუნის შუახანებიდან მოყოლებული მიმდინარეობდა მიხეილის პროექტის კეთილმოწყობა. 1883 წელს მასზე მოძრაობა დაიწყო კონკამ მარშრუტით რკინიგზის სადგური – ვორონცოვის მოედანი. 1904 წელს ამუშავდა ელექტროტრამვაი. უფრო ადრე, 1902 წელს პროსპექტზე მოეწყო ელექტროგანათება.

1918 წელს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ, ნოე ჟორდანიას ინიციატივით მიხეილის პროსპექტს რუსი სოციალ-დემოკრატის გიორგი პლეხანოვის სახელი ეწოდა. ეს სახელი მას შერჩა გასაბჭოების შემდეგაც.

საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდში პროსპექტზე რამდენიმე დიდი ნაგებობა გაჩნდა. მათი უმეტესობა სტალინურ პერიოდშია აგებული. ისინი ოთხ-, ხუთ- ან ექვსსართულიანია და ზომით შესამჩნევად სჭარბობს უფრო ადრინდელ სახლებს, მაგრამ მიუხედავად ამ მასშტაბური ჩარევისა, დიდწილად მაინც შენარჩუნებულია მისი სპეციფიკური ხასიათი.

უშანგი ჩხეიძის ქუჩა ჩაისახა XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში. აქ ვერის ხიდის აგების დროს (1883-85წ.წ.) აამაღლეს მტკვრის ფერდობი და მოეწყო სანაპირო. თავდაპირველად სანაპირო ქუჩა ეწოდებოდა. 1902წ. გეგმაზე აღნიშნულია გიმნაზიის სანაპიროს სახელწოდებით. სანაპიროს ქუჩა, ეწოდებოდა საქართველოს გასაბჭოების შემდეგაც. XX ს-ის შუა ხანებში ეწოდა უშანგი ჩხეიძის სახელი. უზნაძის ქუჩა ჩაისახა XIX ს-ის შუა ხანებში. უკვე დაპროექტებულია 1867 წ. თბილისის გეგმაზე და ქვია ვორონცოვის სანაპიროს ქუჩა, კავკასიის მეფისნაცვლის მიხეილ ვორონცოვის პატივსაცემად. 1899წ

მიენიჭა დიდი მთავრის ნიკოლოზ მიხეილის ძის სახელი და ეწოდა დიდი მთავრის ქუჩა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ეწოდა კამოს ქუჩა. 1990 წლიდან უზნაძის ქუჩა.


ქუჩათა ქსელის ფორმირებას განაპირობებდა არსებული რელიეფი. უბნის ვაკე ადგილმდებარეობამ და ამ ადგილას ქალაქური დასახლების ადრე არ არსებობამ, განაპირობა რეგულარულად დაგეგმარებული ქუჩათა ქსელი. XIX-XX საუკუნეების თბილისის გეგმებზე კარგად ჩანს ამ უბნის ქუჩათა ქსელის ჩამოყალიბების პროცესი.



სოციალური დაკვეთა გარკვეულად განაპირობებდა ქუჩათა სტრუქტურას და ნაგებობათა გარეგან სახეს. სოციალურ ფენათა მკვეთრმა დიფერენციაციამ XIX-XX სს-თა მიჯნაზე განაპირობა პრესტიჟული სამოსახლო უბნების და მათთან მიმდებარე საშუალო და დაბალი სოციალური ფენის სამოსახლოები. აქ პრიორიტეტულად ითვლებოდა მიხეილის პროსპექტი, ხოლო ამ ცენტრალური მაგისტრალის ყოველი მომდევნო ქუჩა ნაკლებ პრესტიჟულად მიიჩნეოდა და ყოველივე ეს აისახებოდა ნაგებობათა ხასიათზე და ხარისხზე. ამ უბანში მდიდარი ევროპელი კოლონისტები, ძირითადად გერმანელები სახლობდნენ და ეს გარემოებაც თავის დაღს ადებდა უბანს. XX ს-ში უბნის სოციალური

სტრუქტურა თანდათან იცვლება და აქ სახლდება საშუალო შეძლების ბურჟუაზია და ინტელიგენცია. გასაბჭოების შემდეგ მშენებლობის პოლიტიკა შეიცვალა და მისმა ინტენსივობამ გადაინაცვლა ქალაქის ახლად შემოერთებულ უბნებისკენ..

უ. ჩხეიძის და უზნაძის ქუჩაზე 1880-იან წლებამდე მხოლოდ ერთი-ორი ნაგებობა იყო აგებული. განაშენიანების ძირითადი ბირთვი აქ XIXს-ის II ნახევრის და განსაკუთრებით XX საუკუნის დამდეგისა და 20-იანი წლებისაა, მაგრამ არის მოზრდილი, XX ს. 30-40-იანი წლების და XX ს-ის II ნახევრის რამდენიმე ნაგებობა უზნაძის და მარჯანიშვილის ქუჩებზე. ამგვარად განაშენიანების ქრონოლოგია საკმაოდ დიდია _ დაარსებიდან, XIX სს-დან, ვიდრე ჩვენს დრომდე (დღესაც ვითარდება მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ საავადმყოფოს, სამშობიაროს შენობები და ადგილზე დათვალიერების შედეგად სხვა ნაგებობები)



- XIX ს. II ნახევარი დღევანდელი უზნაძის ქუჩის ფრაგმენტი

თბილისის უძველესი ნაწილებისგან განსხვავებით, ეს უბანი თავიდანვე რეგულარული განაშენიანებით დაიგეგმა, თუმცა უშუალოდ კვარტალთა გენეზისი და შემდგომი განვითარება წინასწარ კი არ იყო დაგეგმილი, არამედ სხვადასხვა დროის და კონფიგურაციის სახლების საშუალებით არის შექმნილი. მთავარი იყო გეგმარებითი პრინციპი, ნასაზრდოები თავისი დროის ყოფით-სოციალური და მხატვრულ-ესთეტიკური მოთხოვნილებებით _ მწკრივული განაშენიანება კვარტალების

პერიმეტრზე (დროის მხატვრული ესთეტიკის შესაბამისი და დამკვეთის შეძლებაზე დამოკიდებული ფასადები) და ღია აივნები (ზოგჯერ თავიდანვე შემინული) თავისუფალი მოხაზულობის მქონე შიდა ეზოებისკენ.

კვარტალების დაგეგმარებისას დამახასიათებელი ნიშანი, კვლავ სოციალური ასპექტებიდან გამომდინარე, ნაგებობათა იერარქიულობა იყო. ქუჩების პერიმეტრებზე იდგა კარგი ხარისხის ფასადებიანი ნაგებობები, ხოლო შიდა კვარტალში ქუჩებზე გამომავალი სახლების ნაკლები არქიტექტურული ღირებულების დამხმარე ნაგებობები _ მოსამსახურე პერსონალის სახლები, ფარეხები ეტლებისთვის, თავლები და სხვ. თავდაპირველად ამგვარ ნაგებობებს, მთავარ შენობასთან ერთად გარკვეული ფუნქციური კომპლექსის სახე ჰქონდა და გარკვეულ ურბანულ ღირებულებასაც შეიცავდა, თუმცა ფუნქციის დაკარგვასთან ერთად, შემდგომმა მინაშენებმა და გადაკეთებებმა თითქმის ყოველ მათგანს დაუკარგა თავდაპირველი სახე და მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულება

ეს კვარტალიც, ქუჩების პერიმეტრზე XIX-XX საუკუნის დასაწყისში მწკრივულად იყო განაშენიანებული, ხოლო შიგნით არსებული გამწვანებული ტერიტორია თანდათან ივსებოდა მცირე მასშტაბის ნაგებობებით. აქ ამგვარ გამწვანებულ არეებს წარმოადგენდა ვაჟთა II გიმნაზიის ეზო და ეზო # 13 და #15 სახლების უკან. დომინანტური სახე აქ თავიდანვე ჰქონდა ვაჟთა II გიმნაზიის მასიური შენობას (დღეს განათლების სამინისტრო), დანარჩენი ნაგებობები კი მასზე სწორდებოდა. ამ ნაგებობას მეტოქეობა გაუწია XX ს-ის ბოლოს აგებულმა ხუთსართულიანმა საცხოვრებელმა სახლმა ხიდის თავში და თავად საავადმყოფოთა მოზრდილმა კორპუსებმა უ. ჩხეიძის და უზნაძის ქუჩების შორის. ხოლო მარჯანიშვილის თეატრის გადაღმა აგებულმა, ათსართულიანმა ნაგებობამ დისონანსი შეიტანა არსებული განაშენიანების სივრცობრივ სტრუქტურაში

ჩვენთვის საინტერესო უბანი იერარქიული პრინციპებიდან გამომდინარე განსხვავდება აღმაშენებლის გამზირისგან მხატვრული ხასიათით და ჩამორჩება მას ესთეტიკური ღირებულებებით. XIX-XX სს-თა მიჯნაზე აქ ინერციულად მიმდინარეობს თბილისში უკვე აპრობირებული არქიტექტურული რეპერტუარის რეალიზება. ძირითადად აქ ორ-სამსართულიანი საცხოვრებელი სახლებია ფსევდოკლასიცისტური და რენესანსული (აქა-იქ მოდერნის) მდიდრული საფასადო მოტივებით. ფასადების მხატვრულ სახეს განსაზღვრავს ნალესობით გამოყვანილ სარკმელთა სათაურები, სარტყლები და ლავგარდანები. გვხვდება აგურის ფასადებიც.



XX ს. 10–იანი წლები უზნაძის ქუჩა

უზნაძის ქუჩაზე წამყვანი ადგილი უჭირავს დღევანდელ განათლების სამინისტროს შენობას. ეს არის შეულესავი აგურის ფასადებიანი მასიური ნაგებობა აღმოსავლეთ ევროპული სტილის ეკლექტიკური ჩანართებით. იგი დასახსრულია აგურის სახეებიანი ლავგარდანებით, კბილანებიანი ფრიზებით, სარკმელთა შეისრულთაღოვანი თავსართებით და იმპოსტებით.



ზოგადად ამ პერიოდის არქიტექტურული სტილის განვითარებას თუ შევეხებით ის შემდეგნაირად ვითარდებოდა XIX საუკუნის სამოციანი წლებიდან თბილისი საბოლოოდ კარგავს ფეოდალური ქალაქის სახეს და კაპიტალისტურ ქალაქად იქცევა. 50-იანი წლებიდან თბილისის არქიტექტურაში ნელდება ადგილობრივი ტრადიციების ძალა. იკარგება სხვაობა საცხოვრებელ სახლსა და სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ნაგებობათა არქიტექტურას შორის, საცხოვრებელი სახლიც მთელ იმდროინდელ რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში გავრცელებულ სახეს იღებს.

თბილისის გენერალური გეგმის არსებობის გარეშე იზრდება. არ არსებობდა არც ცალკეული რაიონების პროექტები.

60-იანი წლებიდან გამოიყოფა საცხოვრებლად აშენებული და ეწ. შემოსავლიანი სახლები. გვხვდება როგორც თბილისურ გეგმაზე დაფუძნებული ასევე რომელთა გეგმა სცილდება თბილისურ ტრადიციებს. თბილისური საცხოვრებლისთვის დამახასიათებელია: დიდი აივანი ეზოს მხარეს, რომელიც სხვადასხვა სადგომს აკავშიორებს ერთმანეთთან. საცხოვრებელ ბლოკს გარეთ გატანილი დამხმარე სადგომები-სანიტარული კვანძი, სამზარეულო რომელიც საცხოვრებელ ოთახებს აივნით უკავშირდება. ოთახების ანფილადური განლაგება. ჭიშკარი უმეტესად სახლის ფარგლებში კეთდება. ეზოში კამაროვანი გასასვლელი “გვირაბი” დამახასიათებელი ატრიბუტია. თითქმის ყოველთვის კეთდება უკანა კარი - მეორე კიბე ეზოს მხარეს.

სახლები რომელთა გეგმა შორდება თბილისულ ტრადიციას უმეტესად ცენტრალურ რაიონებშია. ეს უფრო დიდი მრავალბინიანი სახლებია რომლებიც მდიდარ მეპატრონეებს ეკუთვნის. ტრადიციებთან კავშირის გაწყვეტა შენობების სიდიდესა და ბინების რაოდენობასაც მიეწერება, რადგან თბილისური სახლები უფრო მცირე მასშტაბისა იყო. არსებითია სხვა მხარეც სურვილი რომ მიწის ნაკვეთი მაქსიმალურად გაშენდეს ფართობის მოსაგებად. სწორედ ასეთ სახლებში მკვიდრდება მცირე ეზო-კოლოფი, ასეთ ეზოს სახლი ზოგჯერ ოთხსავე მხარეს უვლის გარს. ეზოს მხარეს აივნები აღარ კეთდება. ქუჩისკენ მხოლოდ მცირე რკინის აივნებია. ყველა დამხმარე სადგომი საერთო ბლოკშია საცხოვრებელ ოთახებთან.

ამ პერიოდის საცხოვრებელი სახლები ისევე მკაფიოდ მოწმობს ექლექტიზმის გამარჯვებას როგორცნ საზოგადოებრივი და სახაზინო ნაგებობანი. შემოსავლიანი სახლები ითქვიფება ზოგად-ევროპულ ტალღაში. სწრაფად ქრება თბილისური სახლების დამახასიათებელი ელემენტები, უპირველეს ყოვლისა ხის დაკიდული გადახურული აივნები ქუჩის მხარეს. აგრეთვე თბილისურად გარდაქმნილი კლასიკური რენესანსული ან გუთური მოტივები. მრავალბინიანი შემოსავლიანი სახლების

განვითარებასთან ერთად ფასადები გადაიქცევა სარკმელებით დანაწევრებულ კედლად რომელიც აღჭუვილია აქაიქ მიმოფანტული რკინის მცირე აივნებით და მორთულია XIX ს. მეორე ნახევრის ევროპული არქიტექტურისათვის დამახასიათებელი ნაძერწი პროფილებითა და სამკაულებით. საცხოვრებელ სახლებში გვხვდება სხვადასხვა სტილთა მიბაძვით შესრულებული ფასადები უმეტესად ისლამური და გუთური. მაგრამ ეს ეპიზოდური ფაქტებია. ეპიზოდური იყო მოდერნიც მაგრამ იგი ევოლუციურად საყურადღებოა.

ძირითადად ფასადები მაინც კლასიკურ არქიტექტურულ ხაზს მისდევს. მაგრამ ახლა XIX ს. ინტერპრეტაციით მოცემული რენესანსული და ბაროკული ფორმები მკვიდრდება. ევოლუცია რუსეთისა და ევროპის საქალაქო საცხოვრებლის პარალელურია.

60 წლებსა და 70 წლების პირველ ნახევარში წინა ეტაპტან კავშირი ჯერ კიდევ საგრძნობია. ფასადებში ზოგან კლასიციზმის გამოძახილი ჩანს ზოგან ჯერ კიდევ არის ხის დაკიდული გადახურული აივნები ქუჩის მხარეს. გამოიყენება შემდეგი მოტივები: პილასტრები, ვერტიკალური შვერილები ამოღრმავებული ზედაპირით, ბრტყელთაღიანი სარკმელები. მეორე მხრივ დამახასიათებელია ორდერისა და სხვა კლასიკური არქიტექტურული დეტალების სავსებით აკადემიური გამოყენება

ყველა ფასადისთვის მეტნაკლებად დამახასიათებელია შემდეგი: კედლები შედარებით ნაკლებ დატვირთულია, რუსტიკა დაპირისპირებულია გლუვ სივრცესთან, საპირეებიც მარტივია, მორთულობა ზომიერი და ბრტყელი. სარკმელები დიდი და დაშორებული ერთმანეთს. ორდერი იშვიათად იხმარება, სადაც არის ეს ჩვეულებრივ შეწყვილებული ბრტყელი კედლის სვეტებია (კორინთული ღარებით) ან ფასადის ორ განაპირას ან რიზალიტების გამოსაყოფად.

70-იანი წლების II ნახ.-ში ძირითად შემთხვევაში ქრება კლასიკური მოტივების თბილისური ტრანფორმაციები აკადემიური დამუშავება საბოლოოდ მკვიდრდება. ისპობა ხის გადახურული აივნები ქუჩუს მხარეს. ეს უკვე რკინის აივნებია. ძლიერდება არქ. დეტალებით ფასადის დატვირთვის ტენდენცია ხშირია დეტალიზებული ფრიზი, მკაფიოდ გამომჟღავნებული რუსტიკა, ბაროკული კარტუშები და სხვა. მეტ ადგილს იჭერს ორდერი იგი ხშირად მთელ სართულს ანაწევრებს.

90–იან წლებში გვხვდება ზოგი შედარებით მარტივი ფასადიც რომლებიც 70 წლებისას ემხრობა. მაგრამ უმეტესობა ფასადებისა გვიჩვენებს რომ ერთბაშად მოზღვავდა უამრავი ხუროთმოძღვრული ფორმა და დეკორატიული მოტივი, რომელთაც დატვირთეს ფასადი.

გვხვდება სავსებით ზომიერად შედგენილი ფასადები რომლებიც ბაროკულ რეპერტუარსა და ხერხებს ემყარება, ასევე ფასადები სადაც ეკლექტიზმი სრულიად აღვირახსნილად მჟღავნდება. ფასადის სიბრტყეზე არ რჩება ხელუხლებელი ადგილი. კედლები ზოგან მთლიანად რუსტიკითაა დამუშავებული. ხშირია რუსტოვანი ქვები პირამიდისებრი ამოშვერილი ზედაპირით, ხორკლიანი ფაქტურით. ორდერის სიწმინდეზე აღარავინ ზრუნავს. ნებისმიერია პილასტრების პროპორციები. ზოგი კედლის სვეტი სანახევროდ გლუვია ან დაღარული. ჩნდება დამატებიტი სამკაული მაგ: პილასტრებზე შებმული გირლანდები, არქივოლტები, ფრიზები, პარაპეტები, სამკუთხა და რკალური ფრონტონები. მომრავლდა ნაძერწი სამკაულები სარკმელების გარშემო, და სხვა არქიტექტურულ დეტალებზე. ფასადები გაიჭედა ბუტაფორული პლასტიკით. მანსარდებიანი სახლები პარიზული საცხოვრებლის გამოძახილია.

90-იან 1900-იან წლებში მრავლდება დიდი შემოსავლიანი სახლები. ფასადთა დამუშავებაში გრძელდება წინა ათწლედის ხაზი. გვხვდება შედარებით ზომიერად დამუშავებული რენესანსულ და ბაროკულ პალაცოთა ფასადების მსგავსი ფასადები. ზოგჯერ ადრინდელ რენესანსული მოტივებიც. მაგრამ ძირითადად თვალსაჩინოა კიდევ უფრო მეტი დატვირთვის და მოკაზმვის მცდელობა. კლასიკურ ბაროკულ რეპერტუარს ხშირად მისთვის სრულიად უცხო სამკაული ერთვის, ჩნდება ხალიჩისებრ დამუშავებული ფასადები. მოხშირდა მაღალი ციცაბო სახურავები და მანსარდები. ზოგჯერ ფრანგული რენესანსის მოტივების ჩდება მაგალითად აგურის წყობის შეხამება ქვის პროფილებსა და დეტალებთან.

საცხოვრებელი სახლების ფასადებზე პრინციპულად ახალი აქ ორი რამ არის: ეროვნული ქართული მოტივების გამოყენების ცდები და მოდერნის შემოსვლა XX ს. პირველი წლებიდან.

მოდერნი საცხოვრებელი სახლების პროექტებში 1902 წელს ჩნდება და რევოლუციის წლებამდე ცოცხლობს. ბევრი ნიმუშია სოლოლაკის უბანში, რუსთაველსა და აღმაშენებლის პროსპექტების პარალელურ ქუჩებზე, ვერეს უბანშიც.



უშუალოდ საკვლევი შენობა უზნაძის ქ. #82-ში მდებარეობს. ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით იგი მნიშვნელოვანია ქუჩის ისტორიულ-არქიტექტურული სახის შექმნისათვის. აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი. მის ძირითად მხატვრულ გამომსახველობას მისი სტრუქტურა, მხატვრული და არქიტექტურული ელემენტების ერთობლივობა განაპირობებს. პიველი ეტაპი, რომელიც შენობის კვლევისას განისაზღვრა საარქივო მასალის დამუშავება იყო. საარქივო მასალები მოწმობს, რომ უზნაძის ქუჩაზე 1880-იან წლებამდე მხოლოდ ერთი-ორი ნაგებობა იყო აგებული. განაშენიანების ძირითადი ბირთვი აქ XIX საუკუნის ბოლოსა და 20 საუკუნის დამდეგით თარიღდება.

სწორედ ამ პერიოდით უნდა დათარიღდეს აღნიშნული შენობაც. იგი ამ პერიოდისათვის მეტად აქტუალურ კლასიცისტურ ნიშნებს ატარებს, აქვს შიდა ეზო და გეგმარებით რუსული T-ს ფორმისაა. ის სამოქალაქო ნაგებობაა, ორსართულიანი. კედლის მასალად გამოყენებულია აგური რომელიც შელესილია (გამოყენებულია დეკორატიული შელესვა). საარქივო მასალებში ინახება 2007 წელს გადაღებული ფოტო საიდანაც შეგვიძლია დაზუსტებით დავასკვნათ, რომ ამ თარიღის შემდეგ მას

რეკონსტრუქცია აქვს გაკეთებული. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ეს შენობა ამ პერიოდის თბილიური არქიტექტურის ერთ-ერთი სახასიათო ნიმუშია.



ორივე სართული ღიობებით არის დანაწევრებული შეიძლება ითქვას რომ სიმეტრიული საფასადო კომპოზიციით ხასიათდება. მთავარი ფასადი არსებითი ცვლილებების გარეშე, თავდაპირველი სახით არის შემონახული. სართულებს ერთმანეთისგან პროფილირებული სარტყელი ყოფს. შენობის ორივე მხარეს საერთო სიბრტყიდან მცირე რიზალიტებია რომლებიც ხაზგასმულია სადარბაზოში სესასვლელი კარითა და ეზოში შესასვლელი თაღით.

პირველი სართული შედარებით სადაა. დანაწევრებულია ხუთი მართკუთხა, ფანჯრით რომლებიც სადა საპირეებითა და სანდრიკებით არის გაფორმებული. სარკმელებს შორის შუა კედლისიც სადაა. მარცხნივ ეზოში შესასვლელი თაღოვანი გვირაბია განთავსებული



ხოლო მარჯვნივ სადარბაზოში შესასვლელი ასევე თაღოვანი საჭექი ქვითა და დეკორატიული ელემენტებით გაფორმებული კარია რომელიც რეკონსტუქციის დროს იქნა შეცვლილი თუმცა ავტენტური კარის დეკორს იმეორებს.



გაცილებით ურო მდიდრულად არის გაფორმებული შენობის მეორე სართული. ასევე ღიობებით დანაწევრებული კედლის ზედაპირზე, ხუთი თაღოვანი სარკმელი და აივანზე გამომავალი ერთი კარია.



შუაკედლისები დანაწევრებულია კანელურებიანი პილასტრებით რომელთაც კორინტული ორდერით შემკული კაპიტელები ამშვენებს. სარკმელების თავზე მცირე კრონშტეინების მსგავსი, მცენარეული დეკორით შემკული საჭიქი ქვებია მოთავსებული. სარკმელების ქვეშ კედლის ზედაპირიდან ამოზიდული მართკუთხა, დეკორატიულად გაფორმებული ელემენტებია, ხოლო მათ თავზე ჰორიზონტალური თაროებია მეანდრის ორნამენტით გაფორმებული.



ფასადის უმთავრეს მორთულობას წარმოადგენს შენობის მარჯვენა მხარეს განთავსებული საფასადო ქანდაკების ნიმუში, რომელსაც საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს მაგრამ ადრეულ წლებში ის თითქმის მთლიანად საეკლესიო ხუროთმოძღვრებასთან არის დაკავშირებული. რაც შეეხება სასახლეებს და მითუმეტეს რიგით საცხოვრებელ სახლებს მათ არათუ ფიგურული ქანდაკებით, როგორც წესი ქვაში ნაკვეთი ჩუქურთმითაც კი არ ამკობდნენ. თბილისის სამოქალაქო არქიტექტურაში ქანდაკოვანი და ნაძერწი ელემენტების დამკვიდრება 19 საუკუნიდან იწყება. თბილისური საფასადო ქანდაკება არსებითად არის დაკავშირებული რუსული ხელისუფლების გაბატონების შედეგად იმპერიაში მიღებული ნორმების შემოტანასთან.

სკულფტურისათვის ხშირად მზა მოდელებს იყებდნენ. ერთი მოდელით გაკეთებულ ქანდაკებას ქალაქის ყველა ძველ უბანში შევხვდებით. საფასადო ქანდაკების აყვავება თბილისში XX საუკუნის დამდეგიდან იწყება. (სტილისტური თვალსაზრისით აღნიშნული დეკორატიული ელემენტის ყველაზე მსგავს ნიმუშს ინგოროყვას ქ. #14-ში მდებარე შენობის ფასადზე ვნახავთ).



მეორე სართულზე განთავსებულია ერთადერთი აივანი ლითონის აჟურული მოაჯირით, რომელიც მოგვიანო პერიოდშია მთლიანად შეცვლილი.



ზოგადად ფასადის მეორე სართულზე მცენარეული დეკორატიული ელემენტები უხვად არის გამოყენებული.

რაც შეეხება შენობის ეზოს იგი ე.წ "ჩაკეტილ სივრცეს" ქმნის. ეზოს მხრიდან არსებული ფასადის ავთენტური სახის აღდგენა ფაქტიურად შეუძლებელია. რეკონსტრუქციის შედეგად მას სრულიად დაკარგული აქვს პირვანდელი იერი და დღეს უსახური შეშაბანდების სახით არის წარმოდგენილი.



აღნიშნულს ადასტურებს ჩვენს მიერ მოპოვებული, რეაბილიტაციის ჩატარებამდე გადაღებული ფოტო რომელზეც ნათლად ჩანს ეზოს მხარეს არსებული ფასადის სრული სახეცვლილება





გარდა იმისა, რომ შეცვლილია კიბის უჯრედი და ცოკოლის ნაწილი რაც შეიძლებოდა ძეგლის იერსახის უმნიშვნელო ცვლილებად შეგვეფასებინა, შეუიარაღებელი თვალითაც ნათელია, რომ მოხდა ფასადზე გამოყენებული ხის მასალის სრული ჩანაცვლება, რაზეც მეტყველებს ღიობების ქვედა მხარეს არსებული კედლის ზედაპირიდან ამოზიდული მართკუთხა დეკორატიული ელემენტები, სართულშუა სარტყელი და თავად შუშაბანდის დანაწევრებაც.

შენობას დენტიკულიანი პროფილირებული კარნიზი აგვირგვინებს რომლის თავზეც სწორკუთხა შეღრმავებებითა და დაბალი "პილასტრებით" გაფორმებული ატიკია.

შენობის სადარბაზოს შესწავლის შედეგად აღნიშვნას იმსახურებს იატაკის დეკორი, კიბე და კიბის რიკულები.





დასკვნითი ნაწილი

უბნის სიძველე და გამორჩეული ადგილმდებარეობა მოითხოვს რომ აქ ახალი მოცულობის გაჩენისას გათვალისწინებულ იქნას არქიტექტურული სახისა და მშენებლობის მაღალი ხარისხი, რაც უდავოდ გათვალისწინებულია არსებულ საპროექტო წინდადებაში. გათვალისწინებულია ასევე მოცულობის თავსებადობა არსებული განაშენიანების სტრუქტურასთან და ზოგადად თბილისის არქიტექტურულ სახესთან, სართულიანობის შეაბამისობა ისტორიულ განაშენიანებასთან, ახალი მოცულობა სახურავის კეხის სიმაღლეში მოექცევა. პროექტის განხორციელება მოგვცემს უბნის ევოლუციური განვითარების საშუალებას. ძეგლზე მსუბუქი კონსტრუქციის გაჩენა მოხდება მისი ადაპტაციის ინერესებიდან გამომდინარე, და არ გამოიწვევს მის დაზიანებასა თუ კულტურული ღირებულების შემცირებას. პირიქით მოხდება მისი გაწმენდა ზედაპირული რეკონსტრუქციის შედეგად არსებული დეკორატიული ნალესობისაგან, რომლის ნაცვლად მას ჩაუტარდება კვალიფიციური რესტავრაცია. ახალი მოცულობის გაჩენა არ შეიტანს დისონანსს არსებულ განაშენიანებაში მისი მოპირკეთების მიზნით გამოყენებულ იქნება თბილისური აივნების დამახასიათებელი დეკორატიული ელემენტების ნიმუში ე.წ არაბესკის სტილში.





ასეთივე ორნამენტი იქნება გამოყენებული ეზოს მხარეს არსებული უსახური ფასადის მოპირკეთებისას, შენარჩუნდება დღეს არსებული აგურის წყობა. ცვლილებები უმტკივნეულოდ ჩაეწერება არსებულ განაშენიანებაში და არსებული ისტორიულად ჩამოყალიბებული სურათის ჰარმონიულ ნაწილს შექმნის. შენარცუნებული და კეთილმოწყობილი იქნება შიდა ეზოს სტრუქტურა. სამუშაოები ჩატარდება ძეგლის მაქსიმალურად ავტენტური სახის შენარცუნების ინერესებიდან გამომდინარე, ნებისმიერი გამოვლენილი კულტურული მემკვიდრეობი თვალსაზრისით ღირებული ელემენტი შენარჩუნებულ და რესტავრირებულ იქნება. ასევე შენობას შეუნარჩუნდება სადარბაზოში არსებული დეკორატიული ელემენტები. მიმდებარედ მოხდება ინფრატრუქტურის გაუმჯობესება. მოეწყობა მცირე სკვერი ვინაიდან შენობის მდებარეობა ხელს უწყობს აღნისნულს.

უნდა აღინიშნოს რომ წარმოდგენილი საპროექტო წინადადება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქალაქის განვითარებას.

ხელოვნებათმცოდნე ნინო მაჭავარიანი